

სოციალური სახელმწიფო, მოქალაქეთა უფლებები და მათი  
განხორციელების შესაძლებლობები მოცემულ პოლიტიკურ რეალობაში

მარიამ ცინცაძე

სამაგისტრო ნაშრომი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჭიაბერაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.*

მარიამ ცინცაძე

27.01.2020

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოს მაგალითზე, 2004-2012 წლებისა და 2013-2018 წლების შედარებითი ანალიზის საშუალებით დაადგინოს, თუ რამდენად იცავს სახელმწიფო მოქალაქეებისთვის სოციალური სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ უფლებებს ნეო-ლიბერალური ეკონომიკური კურსის არსებობის პირობებში? ჰიპოთეზაში კი გამოთქმულია ვარაუდი, რომ მიუხედავად კონსტიტუციით გაწერილი სოციალური სახელმწიფოს სტატუსისა, ხელისუფლებების მიერ არჩეული ნეო-ლიბერალური ეკონომიკური გეზი არ მოდის თანხმობაში სოციალური სახელმწიფოს სტატუსთან.

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას დაადგინოს კავშირი კონსტიტუციის მიერ განსაზღვრულ სოციალური სახელმწიფოს სტატუსთან, ნეო-ლიბერალურ ეკონომიკურ კურსთან და მოქალაქეებისთვის სოციალური სახელმწიფოს მიერ გარანტირებული უფლებების დაცვასთან.

ნაშრომში კვლევის ძირითად მეთოდოლოგიად არჩეულია თვისებრივი კვლევა და ეყრდნობა შემთხვევის შესწავლის (Case Study) და პროცესის მიდევნების (Process Tracing) მეთოდებს. ნაშრომისთვის უმნიშვნელოვანესია რაოდენობრივი კვლევის მონაცემებიც, რომლებიც აღებულია „მსოფლიო ბანკისგან“, „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან“, „გაეროს ბავშვთა ფონდისგან“ და სხვ.

კვლევის ანალიზმა გამოავლინა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების გაგება 2004-2018 წლებში ექსკლუზიურად ნეო-ლიბერალური იყო, შესაბამისად, სოციალური სახელმწიფოს ესა თუ ის ატრიბუტები ნეო-ლიბერალურ კურსზე დიდ გავლენას ვერ ახდენდა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, 2004-2018 წლებში

საქართველოს მოსახლეობისთვის სოციალური სახელმწიფოს მიერ გარანტირებული უფლებები არ იყო დაცული.<sup>1</sup>

**საძიებო სიტყვები:** სოციალური სახელმწიფო, ნეო-ლიბერალური ეკონომიკური კურსი, მოქალაქეების სოციალური უფლებები, საქართველოს კონსტიტუცია.

### **Abstract**

The aim of the abovementioned thesis is related to the case of Georgia and comparative analyze of 2004-2012 and 2012-2018 years in order to determine how do the governments protect the social rights proclaimed by social state in the environment of neo-liberal economic discourse? Hence the hypothesis suggests, despite of the status of social state established by the constitution, the chosen neo-liberal economic discourse does not coincide with the social state status.

Correspondingly, the thesis reveals itself, as an attempt to discover the link among social state established by the constitution, neo-liberal economic development and guaranteeing the social rights for civilians.

The research methodology is qualitative is based on case study and process tracing methods. Quantitative data is also vital for the results of the research, but the quantitative information is not discovered during the research process. The data-base used in the thesis relies upon the organizations like Word Bank, National Statistic office of Georgia, UNICEF and etc.

The final stage of the research gave the result, that development of Georgian economic policy during 2004-2018 is exclusively neo-liberal and several attributes of social state does not change the neo-liberal discourse. From the above mentioned, the social rights of civilians were not guaranteed by the government during 2004-2018.

---

<sup>1</sup> ცინცაძე მ, „კონსტიტუციური სახელმწიფო, მოქალაქეთა უფლებები და მათი განხორციელების /განუხორციელებლობის პირობები მოცემულ პოლიტიკურ რეალობაში“. (საკურსო ნაშრომი, აკადემიური წერა: 2019).

**Key word:** Social state, neo-liberal economic development, social rights of civilians, constitution of Georgia.